ხელშეკრულება № 51

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი 01 ივლისი 2015წ.

ერთის მხრივ, *ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "განთიადი"* (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გია მანველიშვილის სახით და მეორეს მხრივ *შ.პ.ს. „ბიუთი სერვის ლაინი"* (შემდგომში–მიმწოდებელი), მისი დირექტორის ნატალია დუმბაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე–3 მუხლის I პუნქტის „ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვების საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო სახსრებით *პირადი ჰიგიენის საშუალებები (CPV:33700000)* სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია შემდეგი დასახელების საქონელი:

№	საქონლის დასახელება	დანაყოფის კოდი	რაოდენობა და განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	თმის საღებავი 1	33711600	3 ცალი	6,60	19,80
2	თმის საღებავი 4 /4	33711600	1 ცალი	6,60	6,60
3	თმის საღებავი 5	33711600	1 ცალი	6,60	6,60
4	თმის საღებავი 6 /46	33711600	1 ცალი	6,60	6,60
5	თმის საღებავი 7	33711600	1 ცალი	6,60	6,60
6	თმის საღებავი 7/8	33711600	1 ცალი	6,60	6,60
7	თმის საღებავი 7/32	33711600	1 ცალი	6,60	6,60
8	თმის საღებავი 7/33	33711600	1 ცალი	6,60	6,60
9	თმის საღებავი 8/1	33711600	1 ცალი	6,60	6,60
10	თმის საღებავი 8/6	33711600	1 ცალი	6,60	6,60
11	თმის საღებავი 8/3	33711600	2 ცალი	6,60	13,20
12	თმის საღებავი 8/4	33711600	1 ცალი	6,60	6,60
13	თმის საღებავი 8/32	33711600	2 ცალი	6,60	13,20
14	თმის საღებავი 8/46	33711600	1 ცალი	6,60	6,60
15	თმის საღებავი 9/1	33711600	3 ცალი	6,60	19,80
16	თმის საღებავი 9/3	33711600	1 ცალი	6,60	6,60
17	თმის საღებავი 9/4	33711600	1 ცალი	6,60	6,60
18	თმის საღებავი 9/32	33711600	1 ცალი	6,60	6,60
19	თმის საღებავი 9/33	33711600	1 ცალი	6,60	6,60
20	თმის საღებავი 10	33711600	1 ცალი	6,60	6,60
21	თმის საღებავი 10/01	33711600	2 ცალი	6,60	13,20
22	თმის საღებავი გოლდი	33711600	1 ცალი	6,60	6,60
23	თმის საღებავი იასამნისფერი	33711600	1 ცალი	6,60	6,60
			30 ცალი		*198 ლარი*

2. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 198 (ას ოთხმოცდა თვრამეტი) ლარს და 00 თეთრს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

3. *შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი*

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით..

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი არაუგვიანეს 2015 წლის 10 ივლისისა .

4.3 მიწოდების ადგილია: ქ. გორი ბესიკის ქ №2 ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "განთიადი"-ს შენობა.

4.4 საქონლის გადაცემის პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, სასაქონლო ზედნადებს. (ელექტრონული ვერსია).

5. *შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 დღისა..

7. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.
-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის გადაცემის პარალელურად მოახდინოს შესყიდული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „განთიადი" ლოჯისტიკი ვაჟა ხადური .

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშერებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. *მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:*

შემსყიდველი :	*მიმწოდებელი :*
ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი"	*შპს „ბიუთი სერვის ლაინი"*
ქ.გორი ბესიკის ქ. № 2 ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა" საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192 ტელეფონი: + 995 0370 22 78 71 ბანკის კოდი: TRESGE22 სახაზინო კოდი: 32030117 32030118 ვებ-გვერდი: gantiadi. ge	ქ.თბილისი წერეთლის № 116 ს.ს „პროკრედიტ" ბანკი საიდენტიფიკაციო კოდი: 205250798 ბანკის კოდი MIBGGE22 ა/ა GE62PC0313600100004663
დირექტორის მოვ.შემსრულებელი *გ.მანველიშვილი* _____	*დირექტორი :* *ნ. დუმბაძე* _____